პროექტი

საქართველოს კანონი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.03.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010120000.05.001.017356) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება

1. მე-10 მუხლის 3^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსიის 3^2 ქვეპუქნტი:

3^2. იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დარღვეული აქვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ვერ ისარგებლებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი საგამონაკლისო ვადით. ამ ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ საქართველოში შემოვიდნენ და იმყოფებოდნენ 90 კალენდარული დღის ვადით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება, იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდათ, აქვთ ან შეუწყდათ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მე-19 მუხლის შესაბამისად.

2. მე-11 მუხლის პირველ პუნქტის “ე” ქვეპუქნტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსიის „ე1“ პუნქტი და “ვ” ქვპუქნტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარისი ვ1

ე1) თუ მას დარღვეული აქვს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.
ვ1) სანქცირებულია ევროკავშირის ან ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**